ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 492

"20" ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა №4 /ივანე მაჩაბლის ქუჩა №2-ში არსებული 43.17 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა №4/ივანე მაჩაბლის ქუჩა №2-ში არსებული 43.17 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №23.1436.1610 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა №4/ივანე მაჩაბლის ქუჩა №2, მე-3 სართულზე არსებული 43.17 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.040.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მარიამ ზაალიშვილისთვის (პ/ნ. 01017040110) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე